საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქმი № 2 „10" 02 2023წ

დადგენილება № 3

თურქეთის რესპუბლიკაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთათვის ჰუმანიტარული ტვირთის შესაძენად თანხის გამოყოფის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო" ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ" ქვეპუნქტის საფუძველზე, წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. თურქეთის რესპუბლიკაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთათვის ჰუმანიტარული ტვირთის შესაძენად სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს თანხა 1100 (ათას ასი) ლარის ფარგლებში.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, ფინანსური დაგეგმარებისა და შესყიდვების სამსახურს და განთავსდეს ვებ-გვერდზე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი ლავრენტი ჩიბურდანიძე

რუსთაველის ქ. №113. 0800 ქ. ახალციხე, საქართველო
113, Rustaveli str., 0800 Akhaltsikhe, Georgia
ტელეფონი: 5(91) 411 288 Tel.